

საქონლით საგარეო ვაჭრობის პორტალზე წარმოდგენილი მაჩვენებლების მოკლე აღწერა

დასახელება	აღწერა
სტატისტიკური პოპულაცია	საქონლით საგარეო ვაჭრობა მოიცავს ყველა საქონელს, რომელიც შემოდის (იმპორტი) ან ტოვებს (ექსპორტი) ქვეყნის სტატისტიკურ ტერიტორიას და ზრდის ან ამცირებს ქვეყნის მატერიალური რესურსების მარაგებს, საქონლის გადამუშავების ჩათვლით.
საანგარიშო არეალი	ინფორმაცია მოიცავს საქონლით საგარეო ვაჭრობას საქართველოს (გარდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიებისა, როგორცაა ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი (ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)) და დანარჩენ მსოფლიოს შორის.
ძირითადი მონაცემები	ექსპორტი, იმპორტი, ადგილობრივი ექსპორტი, რეექსპორტი, ბრუნვა, სალდო
მონაცემების აღწერა	<p>ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი.</p> <p>იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებული საქონლის რეიმპორტი.</p> <p>ადგილობრივი ექსპორტი მოიცავს როგორც ქვეყანაში წარმოებული, ისე საზღვარგარეთიდან იმპორტირებული იმ საქონლის ექსპორტს, რომელმაც განიცადა არსებითი სახეცვლილება ან ქვეყნის ფარგლებში გადამუშავების შედეგად მოხდა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა.</p> <p>საგარეო სავაჭრო ბრუნვა = ექსპორტი + იმპორტი.</p> <p>საგარეო ვაჭრობის სალდო = ექსპორტი – იმპორტი.</p>
მონაცემთა გაანგარიშება	<p>საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს აღრიცხვის “ზოგად მეთოდს”, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა.</p> <p>პარტნიორ ქვეყანას წარმოადგენს იმპორტისთვის – გამომგზავნი ქვეყანა, ხოლო ექსპორტისთვის – საბოლოო დანიშნულების ქვეყანა;</p> <p>საქონლით საგარეო ვაჭრობის შესახებ ინფორმაცია არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული სატრანზიტო გადაზიდვების და გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა #4) შესახებ მონაცემებს, აგრეთვე არაორგანიზებულ ვაჭრობას.</p> <p>ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (გარდა ფასისა მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).</p>
მონაცემთა შეგროვების და გავრცელების სიხშირე	ყოველთვიური
პირველადი მონაცემების წყარო	<ul style="list-style-type: none"> • სატვირთო-საბაჟო დეკლარაციები - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „შემოსავლების სამსახური“; • ინფორმაცია ბუნებრივი აირის ექსპორტ-იმპორტის შესახებ – შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“; • ინფორმაცია ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის შესახებ – სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

დასახელება	აღწერა
ძირითადი პარამეტრები	<ul style="list-style-type: none"> • საფაქრო ნაკადები - ექსპორტი, იმპორტი, ადგილობრივი ექსპორტი, რეექსპორტი, ბრუნვა, სალდო; • პერიოდი - თვე, კვარტალი, წელი; • ზომის ერთეული - 1000 აშშ დოლარი; ტონა; სხვა (ლიტრი, ლიტრი 100% სპირტი, ათასი ლიტრი, ცალი, ასი ცალი, ათასი ცალი, ათასი კვტ. საათი, მეტრი, კვ. მეტრი, კუბ. მეტრი, წყვილი, ათასი ღერი და ა.შ.).
დამატებითი პარამეტრები	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყნები • ქვეყნის ჯგუფები <ul style="list-style-type: none"> ✓ EU - ევროკავშირის ქვეყნები; ✓ CIS - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნები; ✓ BSEC - შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები; ✓ OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები; ✓ GUAM - სუამ-ის ქვეყნები; ✓ EFTA - ევროპის თავისუფალი ასოციაციის ქვეყნები. • ტრანსპორტი - საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო, დანარჩენი
კლასიფიკაციის სისტემა	<ul style="list-style-type: none"> • საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (HS 2012 და HS 2017 კომბინირებული); • ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორი (BEC-4); • საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაცია (SITC-4); • მსოფლიოს ქვეყნების და ტერიტორიების კლასიფიკატორი GNC 007-2016 (ISO 3166); • ვალუტების კლასიფიკატორი – სკ 008-2017 (ISO 4217); • ტრანსპორტის სახეობების კლასიფიკატორი.
დროის მოცვა	2009 წლიდან
მონაცემების ბოლო განახლება	2020 წ. 19 მარტი
მონაცემების შემდგომი განახლება	2020 წ. 21 აპრილი